სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შიდა აუდიტორის

ეკატერინე შაინიძის

2014 წლის II კვარტლის ანგარიში

№ 01-26/588

15 07 17

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2014 წლის წლიური საბიუჯეტო დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან განისაზღვრა 5 700 000 ლარით, საიდანაც მეორე კვარტალში დაიგეგმა 1 459 000 ლარის ხარჯვა, მათ შორის 75 000 ლარი არაფინანსურ აქტივებში.

შესყიდვების გეგმის ფარგლებში 2014 წლის II კვარტალში გამოცხადდა სულ 9 ტენდერი, საიდანაც არ შედგა 2 ტენდერი წინადადებების წარმოუდგენლობის გამო, 7 შემდგარი ტენდერის შედეგად დაიდო ხელშეკრულებები საერთო ღირებულებით 26 566 ლარი, ასევე მარტის თვეში გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 66 911 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დადებულია 4 ხელშეკრულება (ლეპტოპების, მაგიდის კომპიუტერებისა და საბეჭდი ქაღალდის შესყიდვის შესახებ) საერთო ღირებულებით 15 938,01 ლარის.

გამარტივებული შესყიდვის გზით დაიდო სულ 14 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 8 247,50 ლარი.

სულ სახელწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო თანხამ 2014 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 117 662,51 ლარი.

ფაქტიურად 2014 წლის II კვარტალში საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 1 424 776,16 ლარი.

დახარჯული 1 424 776,16 ლარი საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით შეადგენს შემდეგს:

შტატით მომუშავე თანამშრომლების ხელფასი - 168 885,79 ლარი;

შტატით მომუშავე თანამშრომლების პრემია - 0 ლარი;

მრჩეველთა საბჭოს და მისი აპარატის მუშაკთა ხელფასი - 12 705 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 499 184,50 ლარი;

მივლინება - 24 150,91 ლარი;

ოფისის ხარჯები - 75 972,44 ლარი (საკანცელარიო ნივთების, ჟურნალ-გაზეთების, ავეჯის, ვიდეოკასეტების, სამეურნეო საქონელის, კომპიუტერული მარაგების შეძენა, კომუნალური (ელ. ენერგია და წყალი), ინტერნეტის, სატელეფონო, საფოსტო, დასუფთავების მომსახურების ხარჯები, თბილისის ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი), შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯი;

ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 51 130,25 ლარი (საწვავის შეძენის, ავტომობილების მიმდინარე რემონტის ხარჯი);

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 322 935,49ლარი (გარე წარმოები' პროგრამების შეძენა, დაცვის მომსახურების, თანამგზავრული მაუწყებლობის, პირდაპირი ჩართვების უზრუნველყოფის, საინფორმაციო მომსახურების, ფილმების შეძენის, ანძების იჯარის, მაკიაჟის და თმის პრეპარატების შეძენის, სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების, ავტომანქანების დაქირავების, პარკირების ხარჯები);

სოციალური უზრუნველყოფა - 5269,86 - დაფინანსდა ერთი დეკრეტული შვებულება;

არაფინანსური აქტივები - 264 541,92 ლარი (შეძენილი იქნა 3 ცალი კონდენციონერი - 2625 ლარი, 8 ცალი ლეპტოპი - 6 263,92 ლარი, ვიდეოკამერები - 50 600 (სულ შეძენილია 101 200 ლარის ღირებულების, მათ შორის 50 600 ლარი წინასწარ იყო დაფინანსებული პირველ კვარტალში), სტუდიის სამიქშერო პულტის - 4 221 ლარი (სულ შეძენილია 8 44. ლარის ღირებულების, მათ შორის 4 221 ლარი წინასწარ იყო დაფინანსებული პირველ კვარტალში), პირდაპირი ჩართვის სარელეო აპარატი - 28 000 ლარი, პორტატული რაცია - 629 ლარი, მიკროფონები - 17 640 ლარი, კამერის სლაიდერის კომპლექტი - 2800 ლარი, აკუმულატორი პირდაპირი ჩართვის აპარატისთვის - 1 763 ლარი, მოძრავი სატელევიზიო სადგურის კაპიტალური რემონტი - 150 000 ლარი.

საქონლის და მომსახურებების შესყიდვის ღირებულებები ანაზღაურებულია დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი და ტელევიზიის შესაბამისი სამსახურების მიერ დამოწმებული საანგარიშსწორებო

დოკუმენტების (ანგარიშფაქტურა, ინვოისი, სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარებ
აქტი) საფუძველზე.

2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებ
ტელევიზიას ერიცხება 139 342,68 ლარის კრედიტორული დავალიანება, მათ შორის
ქვეყნის შიგნით მივლინების - 4 ლარი, მომწოდებლების - 56 093,68 ლარი, გადასახდელ
ხელფასი შტატით მომუშავე თანამშრომლებისთვის - 83 245. აღნიშნული ვალდებულებებ
დაფარვა არ მოხდა ივნისის თვეში 2014 წლის წლიური დაუმტკიცებელი ბიუჯეტის 1/12-
სრულად ათვისების გამო. ამავე პერიოდისათვის ტელევიზიის დებიტორულ
დავალიანება შეადგენს 3 949 ლარს, მათ შორის მომწოდებლების მიმართ 3 664 ლა
(შესაძენი დოკუმენტური ფილმების სცენარის წარმოდგენის შემდეგ წინასწარ დაფინანსებ
ღირებულების ნაწილი) და მოთხოვნები მივლინებით - 285 ლარი (წინასწარ დაფინანსებ
გამო).

2014 წლის მეორე კვარტალში ტელევიზიის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ
დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 91 661,36 ლარი, მათ შორის სასპონსორ
მომსახურებიდან 23 309,43 ლარი, სხვა მომსახურებიდან - 13 233,45 ლარი, ანძებ
იჯარიდან - 7 332,75 ლარი, ბარტერით - 47 785,73 ლარი. ხოლო ფაქტიურმა შემოსავლებ
საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხის სახით - 34 269,92 ლარი. შესაბამისად 30 ივნის
მდგომარეობით გაწეული მომსახურების მიხედვით დებიტორული დავალიანება შეადგენ
9 605,71 ლარს. ამასთან, საბანკო ანგარიშზე წინასწარ ჩამორიცხული ანძების იჯარის თანხ
აუქციონში მონაწილეობის საგარანტიოს სახით შეადგენს 12805,25 ლარს, ხოლო წინასწა
გადახდილი სასპონსორო მომსახურების თანხა კი - 800 ლარს. ასევე, ჩამორიცხულ
პირველი კვარტლის მდგომარეობით რიცხული დებიტორული დავალიანება 495,48 ლარი.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწული ხარჯი მეორ
კვარტალში შეადგენს სულ 6510,8 ლარს, მათ შორის: წარმომადგენლობითი ხარჯები
527,70 ლარი, ბანკის საკომისიო - 8,10 ლარი, თანამშრომელთა პრემია - 5975 ლარი.

2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მაუწყებელს საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდ
4867,14 ლარი, სულ შემოსულმა თანხამ შეადგინა 48 370,65 ლარი, გაწეულმა ხარჯებმა
6510,8 ლარი. შესაბამისად, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზ
თანხის ნაშთი შეადგენს 46 726,99 ლარს.

გარე წარმოების პროგრამების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში 2014 წლის მეორე კვარტალში ფაქტიურად განხორციელებული საბარტერო ოპერაციების ღირებულებამ შეადგინა სულ 47 785,73 ლარი.

კვარტლის განმავლობაში ვეცნობოდი სახელმწიფო შესყიდვების და ბუღალტრული ოპერაციების შესრულების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში გავცემდი შესაბამის რეკომენდაციებს.

ე. შაინიძე

14.07.2014